

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.



გამომდის ყოველ - დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული სტრიქონი კვეთის
ღი 25 მანათი; პირველი 50 კ. სტრიქონი კვეთის
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააქონებს და შეეცა-
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დასაბუჯად წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія въ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახალად დაიბეჭდა და იხილეთ „დროების“ რედაქციაში

პასუხები

საქართველოს ისტორია

ბანმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და
ისტორიულის ცნობებით

ლიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.


ნაწილი პირველი

ქველის საქართველოს საზოგადო ქართლთ.

შეღებულა და დასაბუჯდა ქვეყნის ნ. ა. წილახვისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად

(25—1)



სუსტს აწვებს წკიპარ- ტი წაქცევს

თბილისი, აგვისტოს 18-ს.

ჩვენის ქვეყნის მივარდნილს კუთხე-
ში—სევანეთში ერთი სოფელი უშგუ-
ლი სრულიად დასეტყვილა დიდი რამ
მომხდარაო, იქნება იფიქროს ზოგი-
ერთმა, თუ სადღაც სევანეთში დასე-
ტყვილა რაღაც უშგული, რომლის
სახელი თავის დღეში არც-კი გამო-
გონიაო. იქნება მეც, შენც, ჩემო
გულკეთილო მკითხველო, ისე გეფიქ-
რა, უშგული რომ სხვა სოფლების-
თანა მდგომარეობაში ყოფილიყო.
დიდი საქმე არ მოხდება, რომ ძახეთ-
ში, ძართლში, ან იმერეთში რომე-
ლიმე სოფელი დასეტყვოს. მართი
დაზიანდება, მეორე ხელს გაუწვდენს
და შეასრულებს იმ კაცობრიულს
აღებ-მიცემობას, რომელზედაც ჩვენი
ხალხი ამბობს: «სესხი და ვალიაო». მართლაც, აქ დასეტყვილები, თუ სხვა
შემდეგა აქეთ რამი, იქიდან სარჩოს
და თუ არა გააჩნიათ-რა, კეთილი კა-
ცი არ გამოიღვევა ქვეყანაზედ, და
სიმშლით ჯერ, ვგონებთ, ჩვენს და-
ლოცვილს ქვეყანაში არაფერს მომკვ-
დარა.

სულ სხვაა საბრალო უშგულში,
სადაც სეტყვის შემდეგ ისეთი გოდე-
ბა იდგა თურმე მთელს სოფელში,
რომ გვეგონებოდათო, —ამბობს ჩვენი
კორესპონდენტი, მგვიპტელებსავეთ ყვე-

ლა ოჯახში პირში მიცვლებული
უძველესი; უშგულელებს სრულიად გა-
ოხრებით წრეულს ყოველნაირი მო-
სავალი და მშვიერი დარჩენილან რო-
გორც ადამიანები, ისე პირუტყვი.
სევანები ისეთ მდგომარეობაში არიან,
რომ წინდაწინვე უნდა იზრუნონ თა-
ვიანთ სარჩოზე და შინ შეიტანონ
მთელი ზამთრის საგძალი. სხვა სე-
ვანების სოფლებს ღონე არა აქვთ,—
უშგულს შეეწიონ და მიყიდეთაც
ვერას მიჰყიდიან, რადგან თითონაც
გაჭირვებაში არიან; მაშასადამე უშგუ-
ლელებმა გარედამ უნდა შეიტანონ,
თუ სიმშლით ამოწყვეტის არიდება
სწადიანთ მამობთ გარედასაო, რად-
გან სევანეთისათვის ოქტომბერს იქით
მთელი ქვეყნიერება გარე ქვეყანაა,
რომელსაც ვერას გზით ვერ მიუღვე-
ბიან; მთელი ზამთარი იგინი უნდა
ელოდენ ზაფხულის მზეს, რომ ყო-
ველ მხრივ ამართული თოვლის კედ-
ლები გააღონ და ცალბილიკები მაინც
გახსნას.

ჩვენი კორესპონდენტი დაწვრილ-
ებით გვაუწყებს, რომ ყოველად მეუძლე
ბელია უშგულელებისათვის ამ ზამთრის
გადარჩენა, თუ სიიღმე შემწეობა არ
მიეცათო. თითონ არახსჯით არ შე-
უძლიანთ სარჩო მოპოვონ და იმედია
მთავრობა დაეხმარება...

ღღეს აგვისტოს 18-ია. ამ თვე-
ნახევარზედ სევანეთის გზა შეიკვრის
და თოვლის კედლებ შუა მთელი
ზამთრობით მომწყვედულ რამდენსამე

კსთხმვ მზობელთ და მზრუნველთ
მოსწავლეთა ქუთაისის სათავად-აზნა-
ურო სასწავლებლისა, რომ მომავლის
ენკენისთვის (სექტემბრის) ათის რიცხ-
ვიდან დაწყებული მწიფობისთვის
(ოქტომბრის) ათამდის უსათუოდ ინე-
ბონ მომძანება, რომელ დღესაც მო-
სახერხებელი იქნება მათთვის, გარდა
კვირა დღისა, სათავად-აზნაურო სას-

წავლებელში, ორპირის ქუჩაზე, თა-
ვად ლორთქიფანიძეების სახლებში,
მოსალაპარაკებლად მათის ყმაწვილე-
ბისათვის ძლიერ საჭირო საქმეზე.
მინც აღნიშნულს რიცხვებში არ გა-
მოცხადდება, დიდად დააბრკოლებს
თავის ყმაწვილის სწავლას.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის
(3—2) ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე.

მე შემომტოვადენ, მაქებდენ,
მით იუყენ ბედნიერები,
გადაღებულნი გულისათ
ჩემგანვე ნუბიერები.

აწ განქრს, ვითა ოცნება
ეს ფუფუნება ყოველი,
მეცხარათ, მოყვასთ ვერ ვსედავ
არც მათგან შევლას მოკვლი.

ასე ყოფილას სოფელი,
ცრუ არის კაცი ყოველი,
სისარბე თვალთა უსწავლებთ,
სიკეთის ვინ არს მსოველი!
გნ. ნინო ორბელიანისა.
აგვისტოს 7-ს.

საკვირაო ევლტონი

გორი აღარა ხუმრობს.—ყიზილბა-
ბაშური კომპლიმენტები.—მაშ მთელი
ქვეყანა არ ააღაპარავენ?

შოველ საზოგადოებაში არის ერთი
მეტეხარა კაცი მაინც, ყოველ ქვეყა-
ნაში არის ერთი მეტეხარა ქალაქი.

* * *

ბედმა გვიმესთა, მძობილო,
მივეყვით ჩვენს ბედის წერსა,
სამართლე გვექონდეს საზრდოთა,
ის გვირჩეუნია ყველასა!

ჩ.ჩხი უკუღმა ტრიალებს,
გული ვერ უძლებს თქვენასა,
დიდი სანია მოკვავდი
სიამით გულის ღსენასა,

ღონე მომავლა ობლობამ
არც ტუთ ვარ, აღარც პარათა,
სიფიცსლე-მობეზრებულსა
სიკვდილი მიჩანს ჩაჯათა.


ჩემი ცხოვრება დაღუპეს,
დავდივარ კარის-კართა,
ჩემი თავ-გადასავალი
ისწავლეთ ანა-ბანათა.

მეც ერთ დროს გარსა მესვიგენს
მტერი—მოყვარე ერები,
თავ-მოკრამადულნი მეტოფადენ
ზრდილნი, არ კანდიერები;

ჩვენში ეს არა საამო სახელი ეკუთვ-
ნის ბორს. ნუ შეგეზინდებთ, მკითხვე-
ლო, მე არ მოგიყვებით არც ბორის
ისტორიას, არც მის ხიდის ამბავს,
არც იმას, თუ მისნი მცხოვრებნი
დროს როგორ ატარებენ ლოტოში
და კორიკანობაში. ღმერთმა მშვი-
დობა მისცეთ იმ ისტორიკოსებსაც,
რომელნიც ბორს აწარმოებდენ სი-
ტყვიდამ «ლორი», მისს ხიდზედ
მოსიარულეთაც, მის თასაკრავებთან
მანდილოსნებსაც, რომელნიც ყოველ
საღამოს ჰეტსა და შესდესკეტ დევეტს
გაიძახიან და ამბო-ტერნობებს მისჩე-
რებთან; ჩვენ დღეს უფრო საყურად-
ღებო საგანი გვაქვს განსახილავი,—
პოლემიკა ადრესის მიმწერლებისა და
ბ. სულხანოვის შორის. მს ორი წე-
რილი გამოქვეყნებული იყო გაზეთს
«ნოვოე ობოზრენიეში»; დიდად, ხუმ-
რობა კი არ გვეგონათ, იმ «ნოვოე
ობოზრენიეში», რომელიც ჯერ ერ-
თი ესა, რომ «პატივცემული გაზეთია
და ყოველ დღის ვარაშისა და საზო-
გადო მოვლენისათვის ყურ-მახვილი
და მარდად თავის აზრის წარმომთქმე-
ლი» (სიტყვები ბ. სულხანოვისა) და

მეორეც ესა ისეთს ენაზედ გამოდის,
რომლის შემწეობითაც 80 მილიონ
ხალხს შეუძლიან განიცადოს რო-
გორც მჭევრ-მეტყველება ბ. სულხან-
ოვისა, ისე წერა-კითხვის უცოდნე-
ლობა მისს მოპირდაპირეთა. მართა-
ლია, როდესაც ქუთაისში ამისთანა
რამ მოხდება ხოლმე, ისინი ისეე ში-
ნაურულად რიგდებიან ერთმანეთში
და «შრომის» ან «დროების» ფურ-
ცლებს არ გადასცილდებიან, მაგრამ
ქუთაისი ვის ევალრება! ქუთაისი ქუ-
თაისია და ბორი ბორია, ძართლის
მეთაურია.... თუმცა მე კიდევ სხვა
აზრისა ვარ.

მე იმ აზრისა ვარ, რომ მაინც
კიდევ ემჯობინებოდა, —სამს ვითომ-
წარმომადგენელს თავად-აზნაურობი-
სას შინაურულად, მოკითხვის წე-
რილსავეთ მიეწერათ ადრესი ბ-ნი
სულხანოვისათვის და ასე დაეწყეთ:
«პირველად თქვენს კარგად ყოფ-
ნას და მშვიდობას ყოველად შემძ-
ლებელს ღმერთსა ესთხოვთ; მასუ-
კან, ვიცით ჩვენს ამბავს იკითხეთ,
გახლავართ კარგად, როგორც დროე-
ბას შეეფერება, ღვთისა და თქვენის



ასს სულს ექნება სარჩო თუ არა, — ეს მწველელთა სისწრაფეზე და მუყაითობაზე არის დამოკიდებული.

შინაური ქრონიკა

== ჩვენი ტელეგრაფის სააგენტო დაწერილებით გვაუწყებს ხოლმე, როდის არის მიწვეული სერბიის კაროლი პრინცივილიძემთან სანადიროდ, ან ობერპროკური როდის მიდის სამხედროს გარედ და სამხედრო მინისტრის მოსვლაზე კი ბათუმში ხმაც არ ამოიღო. ნეტა რა სასწორი უჭირავთ ხოლმე ხელში ამ სააგენტოს მმართველებს, როცა თავიანთ ტელეგრაფებსა სთხზავენ!

== აგვისტოს 16-17 ღამეს, ობილილიდამ 15 ვერსზე მცხეთისაკენ გაუცარცავთ ფოსტა. ტუჩური და ორი ცხენი მოუკლავთ. ერთი ყაზახი და ფოსტალიონი ტარასევიჩი, მძიმედ დაუჭირათ და ერთს ყაზახს კი თავი დაუღწევია. შოსტა ყოფილა ლუშეთისა, ანანურისა და შასანაურისა. აულაით 600 მანათამდე.

== ობილისელებს თითქმის დაეკარგათ იმედი, რომ როდისმე მოვესწრებით ჩვენს ქალაქში დაწყებულის თეატრის დამთავრებას. როგორცაღერობდნენ ხშირად ელგვა თანხა ამ შენობას და ერთს წელიწადს რომ მუშაობენ, ზედ მემრე ხუთს და ხან უფრო მეტს ისვენებენ. მხლა როგორც «*НОВ. ОБ.*» გვეცნობებს, გამოსულა ამ თეატრის დასამთავრებლად 350,000 მან., მაგრამ თუ მართლა იმ კომისიასვე ჩაუვარდა ხელთ ეს ფული, რომელიც ბოჰკა წყალს სამ აბაზად სვამდა, მაშინ, ცხადა, რამდენიმე წელიწადს კიდევ დავსტებ-

წყალობით, მაგრამ რადგან ქვეყანაზედ გაუჭირებელი კაცი არ არის, ჩვენც ე ა და ეს გვეჭირვება. თუ ჩიხელადეთ ჩვენს მდგომარეობაში და ხელს შეგვიწყობთ, მზა ვართ ყოველთვის თქვენის სამსახურისათვის და მუდამ ვაშს თქვენის სიცოცხლის მადგინებელი ვიქნებით; და თუ ამას ვერ ვესძლებთ, ხომ მოგვხსენებთ «*მეფის ტყაონისა*» სიტყვები «*საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისათვის*»

დავრჩებათ თქვენი უმორჩილესნი მონანი, ესა და ესენი»

ასე რომ ექნათ, არავენ სასაცილოდ არ აიგდებდა, ამიტომ რომ ჩვენი დალოცვილი მართლწერა წმინდა სამთელსავით იგრიხება და რაც უნდა სიტყვები, ასოები, თუნდა აზრები გამოსტოვო, დავი დარაბას არავინ ვაგვიმართავს. აი მაგალითად, აიღეთ სიტყვა მდგომარეობა: გინდ მდგომარეობა დასწერეთ, გინდ მდგომარეობა, გინდ მდგომარეობა, გინდ მდგომარეობა, არავენ არ გეტყვის წერა არ იცოდა აბა ერთი «*იატი*» შეგვემლოთ, თუ ქვეყანა არ შეგვიპრობნ. თუმცა ასეა, მაგრამ ზორის აღრესის აეტო-

ბით მომავალი თეატრის ცარიელი კედლების ცქერით.

== მარჯვედ არის ბათუმის გზა! ბაკეთებენ—მოვა პატარა წვიმა და წალეკავს. აიღე გააცეთებენ და მეორე დღეს გაიხედავ — ოც-ოც საყენობით ჰერში ჰკილია ძირ-გამორეცხილი რელსები... და, როგორც მცოდნე პირები გვეუბნებიან, კარგა ხანი გაივლის, სანამ ბათუმის გზას, ალაგ-ალაგ მიიწვ, იმდენად გაამაგრებენ, რომ ცოტათი ღონიერმა წვიმებმა არ წალეკონ ოც-ოც-და-ათ და ხშირად მეტ საყენობით. «*მაშ ჩემი ასე დაღუბა რა სიკეთეს დააყრიდა ამ გზასაო*» — ამბობს ალბად შოთი.

== სრულიად სომეხთ-გრიგორიანთ ეკლესიის ახალს კათოლიკოსს მაკარის ებოძა ალექსანდრე ნევის ორდენი, ბრილიანტის ჯვარი და აგრეთვე ხუთი ათასი მანათი გზის ხარჯად მიწინევიდამ მიჩაძინამდე

== ბ. ნობელს, რომელიც ერთი უმთავრესი მწარმოებელთაგანია ბაქოს ნავთისა, სპარსეთის მმართველობისაგან იჯარით აულია გოგირდის მადნების წარმოება ქ. სავალანში. ეს მადნები ძლიერ მდიდარი არისო, როგორც «*ასპია*» სწერს; აქამდის 70 ათასი ფუთი გოგირდი ამოიღესო. ასი ფუთიდან 75 ფუთი ნამდვილი გოგირდი გამოდის და დანარჩენი გამოუსადეგარი ნივთიერებააო.

== აგვისტოს 8 უფმართებულესის სენატის კასაციურს დეპარტამენტში (პეტერბურგს) ვარჩეულა რამდენიმე საქმე ავეკასიის სამსჯავროებში ვადატანილი. სენატს დაუმტკიცებია ობილი. სას. პალატის ვადაწყვეტილება, რომელმაც ყველა დამნაშავეთ ციმბირი ვანუსაჯა, მათ შორის

რებს მაინც ვერავინ ვერ ვამტყუნებს: მართალია, ბევრი ვაკილეა ჰხვდათ წილად, მაგრამ მთელმა ქვეყანამ კი შეიტყო მათი ამბავი, მთელმა ქვეყანამ თუ არა, მე შეიღებდა მთელი დედა-მიწის ზურგისამ მაინც. ხუმრობა ვახლავთ—ჩაიბეჭდო იმისთანა «*პატრიცეპულ ვაზეთში*, რომელიც ყოველ დღის ვარმისა და საზოგადო მოვლენისათვის ყურ-მანჯილია და მარდალ თავის აზრის წარმომტქმელი». ეს სიტყვები, ვიმეორებთ, ბ. სულხანოვს ეკუთვნის და მან უძღვნა იგინი ვაზეთს «*ნოვოე ობოზრენიეს*» სამაგიეროდ იმ ქებისა, რომელიც ამასწინად მას ერგო.

ზორელი კორესპონდენტი ამ «*პატრიცეპულის* და *ყურ-მანჯილის*» ვაზეთისა აღწერდა რა ბ. სულხანოვის მოქმედებას, ამბობდა: ბ. სულხანოვის აზრი ის არის, რომ ერთმანეთში მოდაეები მოარიგოს. ამ ვანზრახვით იგი პირველად ვაემართა თავის მეზობლებ შავლენიშვილებთან და ხერხეულიძეებთან, რომელთაც ერთმანეთში რაღაც ორმოც დღიურისათვის დაუსრულებელი დავა ჰქონდათ, ვასინჯა ადგილობრივ მამული და

ვილაც ალექსი ჩიკვაძესაც. დამნაშავეთა შორის ზოგს მკვლელობა და ზოგს ვაცარცვა ბრალდებოდათ.

== იელისის 26 უმაღლესის ვადაწყვეტილებით ქ. ბათუმსა, სოხუმსა და შოთში ვახსნა ვანყოფილება საპატიმროთა მზრუნველობისა. ვანყოფილებათა დირექტორებად, სხვათა შორის, დაუნიშნათ: ბათუმში—მუთაისის სამხედრო ვებერნატორის თანამეწე გენ.-მაიორი თ. ნ. ქრისტაფი, მომრიგ. მოსამართლე ს. მუსოვი და სხვ.; სოხუმში—სოხუმის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ა. მედენსკი, ბლალოჩინი მ. ლავ. მაქავარიანი და სხვ.; შოთში—პოლიციმისტერი, ბარონ ვეიკინგი, ქალაქის თავი ვახრამოვი, მღვდ. ბრ. მაქარაძე და სხვ.


== ბარონის ქუჩაზე, სამხედრო ოლქის სასამართლოს ქვემო სართულში, არის ტრაქტირი სახელად «*რესტორანი პარატი*». ამ ტრაქტირში ამტყდარა ორ კინტოს შორის საშინელი ჩხუბი, ამ თვის 15-ს, ღამის 11 საათზე. ტრაქტირიდან მოჩხუბრები ვამოვიდენ თურმე, თავიანთ ამფსონებით ქუჩაზე და აქ ვანავრძეს ჩხუბი, ყვირილი და აყალ-მაყალი. ამ ჩხუბმა ვაღვიდა თითქმის მთელი უბნის მცხოვრებლები. თუმცა იქ რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ორი «*გოროდოვოი*», მაგრამ მოჩხუბრები ვერ ვააშორეს ერთმანეთს და ვერ დაჩუმეს ნაშუალამევის პირველ საათამდე, როცა თვითონ მოჩხუბრები დაილაღნენ და დასცხრენ. რადგან ამისთანა შემთხვევა ხშირად მოხდება ხოლმე «*პარატის რესტორანში*» და საზოგადოდ ახლო-მახლო ტრაქტირებში და მცხოვრებლებს მოსვენება აღარა აქვთ,—კარგი იქნება რომ ნამდვილი ზომა მიიღონ ამისთანა შემთხ-

მოკლე, მაგრამ ვულზედ-მოსახვედრი სიტყვით მიმართა მოდავეთ. ამ სიტყვაში აუხსნა, თუ როგორ ღუპავს ჩვენს თავდა-აზნაურობას უმნიშვნელო დავი-დარაბა და ბოლოს ასე ვაათავა თავისი ცხარე სიტყვა: «*მე დავიფიცე, რომ ფეხი არ მოვიცვალო აქედამ, ვიდრე მორიგებას არ ჩამოვადებ და ჩემს ფიცს შევასრულებ კიდევ*».

დარწმუნებული ვარ, რომ ხერხეულიძეები და შავლენიშვილები მალე მორიგდებოდენ ერთმანეთში ასეთი ცხარე და ვულზედ-მომხვედრი სიტყვების შემდეგ (მეტი რა ჩარა ჰქონდათ!) და აი სწორედ ეს ამბავი შეიტანა გორელმა კორესპონდენტმა «*პატრიცეპულის* და *ყურ-მანჯილის*» ვაზეთის მატინეში. ბ. სულხანოვს, როგორც ზდილობიანს კაცს, უნდა სამაგიერო ვადაეხადა ხსენებული ვაზეთისათვის და როგორც მისგან მკვერ-მეტყველების დიპლომი მიიღო, ისე თითონ ყურ-მანჯილობისა უძღვნა.

მაგრამ ბ. სულხანოვს დავიწყებია, თუ რა არის უმაღლესი ზდილობა? ის კი არ არის, რომ უზღვეოდ მოქცევისათვის კაცი აწიწმატდეს და თავის მოპირდაპირებს უარესი უზღე-

ვევაში ქუჩაში ჩხუბის დროზე მოსას-პობლად



«დროების» კორექციონი

მარძინა, აგვისტოს 9-ს. 10 საათზე მობძანდა ავეკასიის მთავარ-მართებელი. ახალ-ქალაქიდან ვანგებ მარძინის მონასტრამდე ცხენით ვაიარა 40 ვერსტი; როდესაც შეუღდა მონასტრის აღმართ გზას, ფეხით ინება მობძანება მონასტერში, სადაც წინამძღვარი მიეგება და მოახსენა შემდეგი სიტყვა: «*თქვენო ბრწყინვალე-ბავ!*—მხიარულებით მოგვეგების თქვენ ძველი ეს მიძინების ტაძარი, სადგომი მეფე ბიორგი III და ასული მისი მეფე მამარისგან ვადაღებული სასაფლაოდ მათდა. ამათ დროს ბედნიერ მდგომარეობაში იყო. შემდეგ კი 600 წლის ვანმავლობაში ამან ვამოიარა ათას ნაირი მტარვლობა ქრისტეს სარწმუნოების მტერთაგან. მკირედი ადგილიც არ არის ჩვენს ქვეყანაში, რომ ქართველთ სისხლი არ დაეღვარათ სარწმუნოებისთვის და მამულისთვის; მაგრამ არსად ისე არ დასტყობია, როგორც ამა მხარეს. მთელი ზეციურის დედოფლისა ყოყლოთვის იღვწოდა თავის წილ-ხლო-მილის ივერისათვის და მით მან მოანლო ქრისტეს მოყვარეს ძლიერის რუსეთის მეფეს მფარველობასა ქვეშე, რომელიც ზრუნავს წმიდათა ეკლესიათა და ხალხის კეთილ-დღეობისათვის. ღვთის ვანგებამ შთავითხრათ თქვენ გულში თვით თქვენის თვლით ვანგეცადათ სალს კლდეში ეს დიდებული ძველი ტაძარი, სადაც კვალი თქვენი ბრწყინვალეებისა დაუვიწყარი იქნება. შევალმა აკურთხოს შემოსვლა და ვასვლა თქვენი ამა ტაძრიდან და წარმართნეს გზანი თქვენ-

ლობა აკადროს, მეტადრე თუ ამ უკანასკნელთ საქმის სიყვარული აღაპარაკებს. შმაღლესი ზდილობა ის არის, როდესაც ზდილობიანის სიტყვით მოპირდაპირეს უფრო მწვევად აგრძობინებ თავის უზღველობას. თორემ ბ. სულხანოვს თავისი «*ნოვოე ობოზრენისაგან*» ნაქები მკვერ-მეტყველება დავიწყებია და საპასუხო წერილში დამვიდებული ლაპარაკის მაგიერად უმართებულოდ ეუბნება თავის მოპირდაპირეთ: «*თქვენ ის გინდათ რომ მე ვადმომავდოთ და თქვენ დასხდეთო; აი თქვე ასეთ-ისეთებო!* თქვენ ის ვალაპარაკებთ რომ ერთი თქვენგანი ამორჩევის დროს ჩააშავეს, რადგან ჯამაგირზედ უწესო ლაპარაკს მოჰყავო.

როგორ მოხდა ერთის ამორჩევა და მეორის ჩაშავევა, ეს ყველამ ვიცით და ჩვენ ის ვარჩიეთ ამაზედ ხმა არ ამოგველო და ფარდა ვადაგვევარებინა; ვგონებთ თვით ბ. სულხანოვისათვის ისა სჯობდა, რომ იმ ფარდის კალთა არ აეხადა...

ნი გზასა მშვიდობისასა, სადიდებელად წმიდა სახელისა მისისა და სასარგებლოდ ერისა თვისისა. *)

პარაკლისის შემდეგ, მთავარ-მმართველმა დათვალა ეკლესიის სიძველე და ყველაფერი ნახა; ჩუქურთმებზე ბძანა, როგორც არის, ისე უნდა გადინახოსო. ნახა სასაფლაო ბიორგი III და ასული მისი მეფე მამარისა; ბძანა: აქ უნდა იყვნენ დასაფლავებულნი; ყველა მეცნიერთა უნდა მოიხსენიონ ამის სიძველე მწერლობაში. შემდეგ შებძანდა მამარ მეფის მდივანხანაში. მონასტრის წინამძღვარს უბძანა: გამოგზავნის თავის შვილს, ერთი კვირით, რომ აქაური სიძველე კარგა გაიკნოს; გამოგზავნის არხიტექტორს და მისი ბრწყინვალეობა ეცდება კვლავ აღადგინოს ეს დიდებული ძეგლი ტაძარი. ღაპურამდენიმე საათი მდივანხანაში, სადაც მომზადება იყო. მერე შებძანდა წინამძღვრის სენაკში და რამდენიმე წამის შემდეგ წაბძანდა ვარძილამ ახალციხეს.

ღმერთმა ბძანოს, რომ მათმა ბრწყინვალეობამ ეს დიდებული ტაძარი, როგორც ბძანა, ისე კვლავ აღადგინოს

რუსეთი

◆◆ «რუსის არხივში» დაბეჭდილია ორი ფრიალ საყურადღებო ისტორიული საბუთი, 1858 და 1859 წ.— მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის, გრაფ ზაკრევის წერილი, «სხვა-დასხვა არა-საიმედო ხმებზე და არა-საიმედო პირებზე», და «სია საეკვო პირებისა მოსკოვში.» სიაში, საეკვო პირებ შორის მოხსენებული არიან: მ. ნ. პატკოვი («მოსკოვის უწყებების რედაქტორი»), პ. ს. და ი. ს. აკსაკოვები, პ. ს. ხომიაკოვი, მ. ა. პოკოროვი («დასავლეთელი, დემოკრატი და მოჯანყე, უწყებების მოხდენის მოსურნე»), მ. პ. პოგოდინი («ლიტერატორი, აჯანყების მოსურნე»), ი. ს. სამარინი («ლიტერატორი, არეულობის მოწადინე და ყველაფერზე მზა»), ნ. მ. ფონ-პრუზე («პატკოვის ამხანაგი, აჯანყების მოსურნე»), აქტიორი მ. ს. შჩეკინი (იმ გვარზე შენიშნეთ, როგორც ორს უკანასკნელსა აქვს).

◆◆ მმართველობამ გამოსცა ახალი სარკინის-გზო წესდება. ამ წესდების გამო ზოგიერთი რუსული გაზეთები იწერებინან, რომ იგი მეტად თავაზიანია რკინის გზის გამგეთადმი და ხელს არ უჭერსო: «საზოგადოდ, — იწერება «Русскія Вѣдомости», — ახალი სარკინის-გზო კანონი—თუმცა რკინის გზის წესთა დამცველნი-კი წუწუნებდნენ—დიდს უბირატესობას აღიქვამდნენ ამ გზებზე. საშლვარ გარედ დიდი ხანია, რაც მიხედნენ საიდუმლოე-

ბას, თუ როგორ უნდა ეპრობოდნენ რკინის გზებს. მცირე უწყებებისათვის კარგა საგრძობელ ჯარბას უწყვეტენ სამსჯავროები რკინის გზებს. იქ არა თუ მარტო მატერიალური დანაკლისი ჰხდებოდა საგრძობელის ზედნადებით, არამატერიალური ენება, ზარალიც დიდად ფასობს. ინგლისში იყო მაგალითი, რომ ერთმა მისიონერმა დიდ-ძალი ფული გადახდევინა რკინის გზას, რადგან გზა დაზარალებული გამოდგა და მისიონერმა დროზე ვეღარ მოუსწრო დანიშნულ მიტინგს (ყრილობას). რკინის გზა—გვეუბნება მე-97 მუხლი ახალის კანონისა—პასუხს არ აგებს მოგზაურთა წინაშე მატარებლის არც გვიან გასვლაზე რომელიმე ადგილიდამ და არც მისვლაზე ამ ადგილს, თუნდა რომ ძლიერაც თვალ-საჩინო იყოს რკინის გზის დაუდევრობა. რკინის გზის ადენტი რაიმე ანგარიშით, ან იქნება დაუდევრობითაც უარს-ამბობს გაგზავნოს საქონელი, რომელიც სტანციანზე მოგროვილი და ამით ვაჭარი ვერ ასრულებს პირობას, ზარალობს და იქნება დიდს ჯარბასაც იხდის. მერე რა სახით უზღავს მას კანონი? ხუმრობა ხომ არ არის, — ეპარს აკმაყოფილებენ ფაქტონის დიური სამკეცის ქირით, ანა და იმ ფულით, რამდენიც დაჯდა საქონლის გადმოტანა სტანციანზე და ისიც მაშინ, თუ დაზარალდებულს ვაჭარს ამ ფულს გადაუწყვეტს სასამართლო.» მს არის. ამას მოგვითხრობს ახალი სარკინის-გზო კანონის მე 100 მუხლი...

◆◆ წლივანდელს ნიკეგოროდის იარმარკას მეტის-მეტად უშლის თურმე ხელს მდ. მოლვის დამრობა. იმდენად დაუკლია ამ მდინარეს, რომ 700 ბარგის თუ სამგზავრო გემში 70-ლა თუ დადის დღეს ნოვეგოროდდამ რიბინსკამდეო.

◆◆ ბუნების სიუხვით მთავრდის—ჰირიმის ნახევარ-კუნძულს ჩვენს ქვეყანას აღარებენ. მაგრამ ყოველისფრივ სრული ქვეყანაზე არა გაჩენილა—რა და ჩვენის ქვეყნისა არ იყოს ჰირიმსაც ძლიერ ავიწროებს თურმე ალაგ-ალაგ უწყლობა. ღღესაც ბევრს სწერენო—ამბობს ერთი რუსული გაზეთი—ჰირიმზე, მაგრამ ისეთის აღტაცებით აღარ ამკობენ ამ ქვეყნის ბუნებასაო. ბამოაკვლეველნი ბრალსა სდებენო ჰირიმში ჩასახლებულებს, რომელთაც არა თუ არ ისარგებლეს ამ ქვეყნის სიუხვით და არ შეუწყეს უფრო ხელი, რომ გაეშენებინათ იგი, არამედ მოსპეს ისიც, რაც კი დახვდათ ამ ქვეყანაშიო. მაგალითად გაზ. «Южанинъ»-ის იალთელი კორესპონდენტი სწერს, რომ ჩვენ დავარღვეითო უხსოვარის დროდგან დაწყებული უფლება წყალზე. «შუინდელ დროს წყალი ამ ქვეყანაში განაწილებული იყო ზევით და ქვევით დასახლებულ მემამულეთა შორის მტკიცედ დადგენილ ჩვეულებიასა და გვარად და ყოველი მაჰმადიანი სარწმუნოებრივის კეთილ-სინილისიანო-

ბით იცავდა ამ ჩვეულებას მასუკან, რაც ამ ქვეყანაში ჩამოსახლდნენ არამაჰმადიანნი წყლით სარგებლობის საქმე აირ-დაირია. იყო მაგალითი, რომ დიდნი მემამულენი ჯერ ისარგებლდნენ წყლით და შემდეგ ზღვისკენ გაუკვალადენ. ამ რიგად მაჰმადიანთ სრულებით უკარგადენ საშუალებას მამულის მორწვისას მს არე-დარევა წყლით სარგებლობაში დღემდის სუფევს. გაკირება უწყობობისა გამო დლით-დღე მატულობს და ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ იურიდიული საფუძველი დაედოს წყლით სარგებლობის საქმეს. წყალის გამო არა ერთი განხეთქილება ჩამოვარდნილა ჰირიმის თათრებისა და შეძლებულ მემამულეთა შორის და თვით თათრებ შორის არა ერთხელ მომხდარა შეტაკება და ჩხუბი.»

◆◆ მინე მაკტინის შრანკფურტიდამ ჩაუყვანია პარშავაში ერთი შესანიშნავი ბავში—შეიდი წლის ქალი. მცირე წლოვანი ილა მშვენიერად უკრავს თურმე პიანინზე, სკრიპკაზე, ფლეიტაზე და ყველას აოცებს აგრეთვე ბავშვის მეხსიერება. ილა შეუბოროტიკებლად განიმეორებს ზეპირად მთელს გვერდს წიგნისას, ნემეტურს გინდა ფრანკუზულს ენაზე, ან ზეპირადვე დაუკრავს ერთ-ერთ მოხსენებულ ინსტრუმენტთანზე ერთხელ გაგონილს ხმას.

◆◆ მოსკოვის სახაზინო თეატრების მმართველად დაუნიშნავთ უხუცესი დრამატურგი პ. ნ. მსტროვსკი.

◆◆ ახალი საუნივერსიტეტო წესდების ძალით ს-პეტერბურგის უნივერსიტეტი ამა აგვისტოს 10-დამ აღარ ზიილებს თხოვნებს; აქამდის შესულა 400 თხოვნა; გასულს წელს ამავე რიცხვამდის 600 თხოვნა შესულა.

უკრაინა

◆◆ თუ ყველა არა—უმეტესი ნაწილი მაინც საფრანგეთის გაზეთებისა მოურიგდენ ბრიტანიის ელიზის განმარტებას ოლივიე პენის სიკვდილის გამო. მაგრამ როშფორი ისევ ბრავებსა ჰყრის. თვის გაზეთში იგი ბეჭდავს წერილს სათაურით «შუჩის ძიება», რომელშიაც ემუქრის ინგლისის ელჩს, რადგან ინგლისს აბრალებს პენის მოკვლას: «თუ ბრისონის სამინისტრო არ მოითხოვს დამაკაოფილებას ინგლისის მმართველობისაგან, ჩვენ ვაცხადებთ ამ თავითვე, რომ თვით შევიძლებთ მივიღოთ ეს დამაკაოფილება. ოლივიე პენის სიკვდილისათვის ჩვენ პასუხს არ მოვთხოვთ ისეთ საზიზლარს ვაცებს, როგორც შოლსლეი პუდი და პინერია. მს გაიძვერები არ დაყოვნებენ კურდღლებით ჩაძვრენ თავიანთ სოროებში, რაკი გაიგებენ მათთან ფრანკუზის მოსვლას, რომელსაც სწადიან სახეში მიაფურთხოს მათ. მაგრამ აქ იმათ ჰყავთ თავიანთი

წარმომადგენელი, ელჩი ლიონსი ამ ექილს ავაზაკთა გუნდის საქმიებისათვის მოვითხოვთ ჩვენ ანგარიშს იმ ბოროტ-მოქმედებისას, რომელიც ჩაიდინეს ამ ელიზის აქ გამოგზავნელებმა. სენას ბ. პოჩმა, რომ დღეილამ იგი თავდება აქ მისი დახვესებული ტყავი ჩვენ ხელთ არის და იქნება, სანამ დამაკაოფილება არ მიგვიღია. როგორც მზრუნველი და მფარველი ოლივიე პენის ოთხის ობლისა, მე მოვალე ვარ დავიცვა სახელი ამათის მამისა, რომელსაც არავითარი იარაღი არა ჰქონდა ხელში თავის დასაცველად. იმედი მაქვს მთელი პრესა დახმარებას გამიწვეს ამ მოვალეობის აღსრულებისათვის და აღუსრულებლობაკი ამ მოვალეობისა მთელის სიცოცხლით დასტანჯავს ჩემს სინილისს.»

◆◆ მენის ოფიციალურს გაზ. «Polit Correspond.» სწერენ ბუდაპეშტიდამ: «იმ გარემოებამ, რომ ვენგრის მინისტრი—პრეზიდენტი ტისა არ გაჰყვა იმპერატორ შრანც-იოსებს კრემშიერში, ბევრი სხვა-და-სხვა სჯა ასტება აქ და სამღურავიც ისმის აქა-იქ ტისაზე. მეორეს მხრით იმასაც ამბობენ, რომ საჭირო არ იყო მაინცა და მაინც დასწრებოდა კრემშიერში ვენგრის მინისტრი პრეზიდენტიო. დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ კრემშიერში ისეთი პირობა რამ არ დაიდებოდა, რასაც შეეძლო შეეცვალა ცხლანდელ, საქმეთა ვითარება; რომ ამ გვარი რამ მოსალოდნელი ყოფილიყო, მაშინ ტისა თვის უსათუო მოვალეობად ჩასთელიდა გამოცხადებულიყო იქ, სადაც პეტრო-ვენგრისის მონარქიაზე იქმნებოდა სჯა. აქედამ ის დასკვნა გამოდის, რომ ტისამ აღრვეე იცოდა, რაზედაც იქმნებოდა კრემშიერში მოლაპარაკება, იცოდა, რომ იქ არ შეეგებოდნენ რომელსამე დიდს პოლიტიკურს საგანს. ამას გარდა ტისას, სანამ იგი მსტენდესაკენ გამგზავრებოდა, მოლაპარაკება ჰქონდა გრ. პალნოკისთან. დაბეჯითებით ამბობენ იმასაც, რომ გრ. პალნოკისა და ბისმარკს არაფერი დიდ-მნიშვნელოვანი რამ გადაწყვეტილება არ დაუდგენიათ მარცინში ერთმანეთის ნახვის დროს.»

◆◆ «St. Petersburg Herald»-ს სარწმუნო წყაროდამ შეუტყვია, რომ რუსის მმართველობამ ამ 10 დღის წინად მიიღო თოფოგრაფიული ქარტა პელანის საზღვრებისა და გადასწყვიტა, რომ იგი აღარ ეცდება ამის შემდეგ ზულფიგარის გასავლის შემოკრებებს. მსევე გაზეთი სწერს: ერთს ინგლისურს გაზეთში მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ, ვითომც, პორეიაზე რუსის მფარველობა გამოცხადებულიყოს—სრულებით მოკლებულია ქეშმარიტებასაო. რუსეთის ელჩებს ჩინეთში და იპაონიაში გაეგზავნათ მიწერილობა, აცნობონ სხენებულ სახელმწიფოთ, რომ რუსეთსა და პორეიას შორის არავითარი პირობა არ შეკრულა.

*) შესხმის შემდეგ მთავარ-მმართველმა ბძანა: «მე აქ ვიყავ მწ წლის წინად და აი ღღესაც მოვედი.»

